artisterium 12

www.artisterium.org

artisterium on the road / kutaisi 2019

არტისტერიუმი 12 / 2019
არტისტერიუმი გზაზე - ქუთაისი

არტისტერიუმი - თანამედროვე ხელოვნების ყოველწლიური საერთაშორისო გამოფენა საგანმანათლებლო, კულტურული და შემოქმედებითი პლატფორმაა, რომელიც თბილისში დაფუძნდა და პირველად 2008 წლის ნოემბერში ჩატარდა. დასაწყისში, გამოფენისთვის სახელის ძიებისას, არტისტერიუმზე შევჩერდით, რადგან სახელწოდება გასული საუკუნის 10-ანი წლების, თბილისის მოდერნისტულ, კულტურულ და სახელოვნებო დინამიკას ეხმაურებოდა. „არტისტერიუმი“ ერქვა ჟურნალ „არს“-თან, მისივე შენობაში არსებულ კლუბს, სადაც ავანგარდული გამოფენები, პოეზიის საღამოები და ლექციები იმართებოდა. სახელწოდებამ საშუალება მოგვცა ქართული თანამედროვე ხელოვნება თბილისურ მოდერნიზმთან, ანუ საკუთარ ფესვებთან დაგვეკავშირებინა.

2019 წლიდან „არტისტერიუმი“ საქართველოს რეგიონებში გადადის იმისთვის, რომ ათწლეულის მანძილზე, თბილისში დაგროვებული, საერთაშორისო სახელოვნებო პროექტებზე მუშაობის გამოცდილება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაიტანოს, მოიზიდოს და დააინტერესოს ახალი მაყურებელი და ხელი შეუწყოს სახელოვნებო პროცესების დეცენტრალიზაციას საქართველოში.

არტისტერიუმის რეგიონული ფორმატის პირველ ქალაქი ქუთაისია - ქალაქი მდიდარი მოდერნისტული ტრადიციებით და იმ განსაკუთრებული წვლილით, რომელიც ქუთაისმა ქართული თანამედროვე კულტურის განვითარებაში შეიტანა. 2019 წელი დავით კაკაბაძის დაბადების 130 წლის იუბილეს აღნიშნავს, რის გამოც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აქცენტი ქართულ მოდერნიზმსა და თანამედროვე ხელოვნებაზე ქუთაისში, გამომდინარე მისი ისტორიული როლიდან, საქართველოში მოდერნისტული აზროვნების შემოტანისა და დაფუძნებისთვის.

2019 წლის არტისტერიუმი ასევე მოიცავს ქუთაისში ჩატარებული პროექტების ფოტო-ვიდეო დოკუმენტაციის პრეზენტაციას თბილისის ისტორიის მუზეუმში (19-20 ივნისი).

2019 წლის არტისტერიუმის მთავარი პარტნიორია დავით კაკაბაძის სახელობის ქუთაისის სახვითი ხელოვნების გალერეა, ასევე: ვლადიმერ მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმი ბაღდათში, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, თბილისის ისტორიის მუზეუმი, Explore Georgia, პოლონეთის საელჩო საქართველოში. პროექტის მხარდამჭერია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტრო. რა მიეწეროს ქვემოთ.

Artisterium 12 / 2019
Artisterium on the Road - Kutaisi

Artisterium, the annual international contemporary art exhibition, is an educational, cultural and creative platform, founded in Tbilisi in 2008. The name 'Artisterium' refers to the art club functioning in early 20th century Tbilisi, around the local magazine 'ARS.' Then the city was a thriving modernist and futurist hub and the club famous for its highly innovative and intensive arts program. It hosted avant-garde exhibitions, poetry evenings, lectures and other activities responding to the Cubo-futuristic tendencies of the time. By re-evoking this name we were able to restore Georgia's contemporary art connections to the Tbilisian style of modernism, thus its roots.

In 2019 "Artisterium" now moves out to the Georgian regions. Its aim is to share the ten years experience of international art and develop a new, decentralized audience for the artistic dynamism of Georgia.

Kutaisi is the first city of the Artisterium's new mission. The city boasts a rich modernist tradition of its own and played a key role in the development of contemporary Georgian culture. 2019 also marks the 130th anniversary of Georgia's most famous modernist artist Davit Kakabadze (1889-1952) who was born not far from the city in the village of Kukhi, Imereti. Both he and Vladimir Mayakovsky (1893-1930) - who also spent his early life near the city and attended the Gymnasium school in Kutaisi – would become world influencers in trans-national art.

Artisterium 2019 also includes a Tbilisi presentation of the project at Tbilisi History Museum (19-20 June), via video and photo documentation of the Kutaisi exhibitions and art events.

Partners in the Artisterium are: The David Kakabadze Fine Art Gallery of Kutaisi, Vladimir Mayakovsky House Museum, Baghdadi, Cultural Service of Kutaisi City Hall, Georgian National Museum, Tbilisi History Museum,
Explore Georgia, travel company, Polish Institute in Georgia.

The project is supported by the Ministry of Education, Science, Culture, and Sport of Georgia.

დომინიკ ფიური, საფრანგეთი

ფუფუნების ღმერთები, 2015, ფერწერების ანაბეჭდები, 60x60 სმ.

2008 წელს ერთი კვირა დუბაიში, მოლში გავატარე. სწორედ იქ, ფუფუნების საგნებით და ქერა მოდელების არმიით გარშემორტყმულს დამებადა ამ ნამუშევრის იდეა. მინდოდა მეჩვენებია მოდაზე დამოკიდებულება, გარეგნობის ტირანია და ყველაფერი, რაც ამ მდგომარეობას უკავშირდება. ორი წლის შემდეგ, ფერწერაზე მოდელებს რეალური თმა დავამატე. ეს იყო ინდოელი ქალების თმა, რომლებიც ძალიან იაფად ყიდიან საკუთარ თმებს.
როდესაც სხეული ფული ხდება.

Dominique Fury, France

Luxury Gods, 2015, prints of paintings, 60x60 cm.

I was confined one week in a mall in Dubai in 2008. Surrounded by luxury shops, by an army of blond models, I got the idea of LUXURY GODS paintings about fashion addiction, about the tyranny of appearance and all related to it. Two years later, I added real hair to the painted models. Real hair from Indian women who sell the hair for a little money. When the body becomes living currency.

მასარუ ივაი, იაპონია

ცეკვა, დასუფთავება - თბილისი, ქართული ცეკვა, 2011, ვიდეო

თავის ნამუშევრებში მასარუ ივაი დასუფთავების პროცესს იკვლევს. ვიდეო „ცეკვა, დასუფთავება - თბილისი, ქართული ცეკვა“ ქართულ ნაციონალურ ცეკვაზე აგებული ვიდეოა, რომელიც ცეკვას დასუფთავებასთან, მოძრაობაში აერთიანებს. ვიდეო ერთგვარი ექსპერიმენტია, სადაც, აღმოსავლური და დასავლური კულტურისთვის დამახასიათებელი, ურბანული ელემენტების ფონზე, სხეული ცეკვით უკავშირდება ქალაქს.

Masaru Iwai, Japan

Dancing Cleansing - Tbilisi, Georgian Dance, 2011, video

Masaru Iwai incorporates garbage and clearing in his works under the theme of "Cleaners High". Utilizing various media such as installation, video and performances, Iwai reveals our innate desire for cleanliness in everyday lives while stirring its brunt, and redefines the circulative activities.

ალექს პერე, საფრანგეთი

მორწმუნეები, 2005 / 2012, ფოტო სერია, სხვადასხვა ზომა

ჩემს ფოტოებში ემოციური მომენტების გადმოცემას ვცდილობ და იმის ჩვენებას, რომ მიუხედავად განსხვავებებისა, ყველანი, ცოტა მაინც ერთნაირები ვართ. ერთმანეთის პატივისცემა მოგზაურობამ მასწავლა. მე არ ვქმნი, არ ვაფასებ, მხოლოდ ვაკვირდები. ჩემი თემა ადამიანია. მე თვითნასწავლი ფოტოგრაფი ვარ, რაც გამოხატვაში სრულ თავისუფლებას მაძლევს.

Alex Perret, France

Man of Faith, 2005-2012, photo series, various sizes

Through his photos, Alex tries to recreate significant moments of emotion, to show us that beyond our differences, we are a bit the same."Respect for each other! This is what traveling has taught me! I don't create, I don't judge, I observe. My photography is human and positive. I love people, this is the main theme of my work since my first pictures. I am self-taught, which allows me a complete freedom of expression. I remain close to the subject photographed as well in the urgency of the moment as in a most studied work.

ნეზაკეტ ეკიჩი, თურქეთი / შაჰარ მარკუსი, ისრაელი

მარილიანი სადილი, 2012, ვიდეო-პერფორმანსი

ვიდეო-პერფორმანსი „მარილიანი სადილი“, ესაა ორი მხატვრის პერფორმანსი მკვდარი ზღვის ტალღებში, რომელიც გვახსენებს ჰერაკლიტეს გამონათქვამს: „ყველაფერი მუდმივ მოძრაობაშია“

Nezaket Ekici, Turkey / Shahar Marcus, Israel

Salt Dinner, 2012, video performance

Video-performance “Salt Dinner” shows both artists sharing a table of food on the Dead Sea in wavy waters, bringing into mind that “everything is in flux” like ancient Heraklit said.

იენს რაუხი, გერმანია

თევზი გადარჩება II, (sebastes caurinis, trachurus japonicus, upeneus parvus), 2016, ტილო, ზეთი, ფიქსაცია კბილსაჩიჩქნით, 85X 64,5 სმ.

Jens Rausch, Germany

Fish will survive II, (sebastes caurinis, trachurus japonicus, upeneus parvus), 2016, oil on paper, toothpicks in object frame, 85X 64,5 cm.



www.jensrausch.de

კოტე ჯინჭარაძე, ვახო ბუღაძე, საქართველო
800 კორპუსი, 2018, ვიდეო, 2’06“

Kote Jincharadze, Vakho Bugadze, Georgia
800 Bulidings, 2018, video, 2’06”

ლისა ბიდლინგმაიერი, გერმანია

D.I.Why?, 2016, HD-ვიდეო, 6’16”/loop

ლისა ბიდლინგმაიერი პერფორმანსის, ვიდეოს და ინსტალაციის მეშვეობით სოციალურ სისტემებს და მათ კონსტრუქციებს იკვლევს, მათთვის განკუთვნილ სივრცეებში. მისთვის საინტერესოა ცხოვრების სხვადასხვა სტილის არსებობის მთავარი მოტივაცია და მათი გვერდიგვერდ მოთავსება.

ვიდეოში D.I.Why? ერთმანეთს კუნდალინი იოგა და პანკური მუსიკა ხვდება. მუსიკალური კლიპი “დაპყრობა”, შენელებულია, რითაც მედიტაციურ მუსიკას ესადაგება. ავტორი მაყურებელს იოგასა და პანკურ მუსიკას შორის საერთოსა და განსხვავებულის აღმოსაჩენად იწვევს.

Lisa Biedlingmaier, Germany

D.I.Why?, 2016, HD-video, 6'16"/loop

Lisa Biedlingmaier reflects on social systems and their constructions within an assigned space using various media, such as performance, video or installation. Being interested in different lifestyles, the artist questions their central motivations and puts them into a relationship to each other.

Kundalini yoga practice with its dynamic performance meets a punk music clip, which is, on the contrary, slowed down in order to-on one hand-foil the song subject "Seizure", and on the other to suit the meditative instrumental music in the second part of the video. The audience is invited to reflect on the similarities and differences between yoga and punk attitudes.



C'est clair.